დაუყოვნებლივი, მყისიერი შეზღუდვის გარეშე. ამასთან, ძალზე მკაფიო, ნათელი და ცალსახა უნდა იყოს, რომ კონსტიტუციის ფარგლებში საჯარო ინტერესის სხვაგვარად დაცვის მცირედი ალბათობაც არ არსებობს. გადაუდებლობა მიუთითებს დროის სიმცირეზე, რაც უფლების შესაზღუდად მოსამართლის ბრძანების მოპოვების საშუალებას არ იძლევა და საჭიროებს დაუყოვნებლივ მოქმედებას.“

აქედან გამომდინარე, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა, რომელიც ეხება ადამიანის უფლებების შეზღუდვასა და კონკრეტულ უფლებაში ჩარევას, ექვემდებარება სასამართლო კონტროლს წინასწარ ან შემდგომ ეტაპებზე. ამგვარი რეგულაციის მიზანია დაიცვას ნებისმიერი პირი ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებში თვითნებური და შეუზღუდავი ჩარევისგან.

ადამიანის უფლებათა სფეროში ჩარევისთვის კანონით გათვალისწინებული მოსამართლის ბრძანების სავალდებულო პირობა ემსახურება კონკრეტული ოპერატიულ-სამძებრო თუ ფარული საგამოძიებო მოქმედებების წინასწარი კონტროლის უზრუნველყოფას დამოუკიდებელი და ნეიტრალური სასამართლოს მიერ. რაც მიმართულია ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებისაკენ.[20]

სასამართლო კონტროლის ერთ-ერთ ფორმად მიჩნევა აგრეთვე საქართველოს უზენაესი სასამართლო, რომელიც ადგენს ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრს,[21] სადაც აისახება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია, კერძოდ: ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით სასამართლოებში შესული შუამდგომლობების და სასამართლოთა მიერ მათზე მიღებული განჩინებების შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების თაობაზე ინფორმაცია, რომელიც არ ეხებოდა პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავდა ცნობებს მისი ან სხვა პირის პირადი ცხოვრების შესახებ.[22] საქართველოს უზენაესი სასამართლო ვალდებულია ყოველი წლის ბოლოს გამოაქვეყნოს აღნიშნული ინფორმაცია.

---

[20] საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები №1/1/625, 640, საქმეზე: საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2016 წლის 14 აპრილი;

[21] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 143^{10}-ე მუხლი, ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრი, საკანონმდებლო მაცნე №1772, 09/10/2009;

[22] იქვე, 143^{8}-ე მუხლი, პირველი ნაწილი, საკანონმდებლო მაცნე №1772, 09/10/2009;

1.1.1 ზედამხედველი მოსამართლის ინსტიტუტი

2018 წლის 21 ივლისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ",[23] რომელიც ითვალისწინებს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ, ადამიანის წამებასთან, წამების მუქარასთან, არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებთან ან ადამიანის უფლებათა სხვა მძიმე დარღვევებთან დაკავშირებულ დანაშაულთა ეფექტიანი გამოძიების უზრუნველსაყოფად დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ჩამოყალიბებას.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კანონით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილება სრულად ამოქმედდა 2019 წლის 1 ივლისიდან. „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მიღებამ გამოიწვია ასევე ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც, მაგალითად: კოდექსის იმ ნორმებში, რომლებიც უკავშირდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს, მის ნაცვლად მიეთითება სახელმწიფო ინსპექტორი ან სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი, ასევე, სსსკ-ში გაჩნდა ტერმინი -ზედამხედველი მოსამართლე.[24]

სსსკ-ის მე-3 მუხლის 32^1-ე ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის XVI^1 თავის მიზნებისთვის, ზედამხედველი მოსამართლე არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, რომელიც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებზე ამ კოდექსით დადგენილი წესით და დადგენილ ფარგლებში აკონტროლებს: ა) ამ კოდექსის 143^1 მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით ჩატარებას კონტროლის ელექტრონული სისტემითა და კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემით; ბ) ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებულ აქტივობებს ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალური ბანკის კონტროლის ელექტრონული სისტემით; გ) ამ კოდექსის 143^1 მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელებას გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემით.

---

[23] საქართველოს კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ", საკანონმდებლო მაცნე, 21/07/2018

[24] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მე-3 მუხლი, 32^1-ე პუნქტი, საკანოინმდებლო მაცნე №1772, 09/10/2009;

ამასთან, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად,[25] ვრცელდება: ა) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1-144^3 მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულზე, თუ იგი ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, აგრეთვე მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ; ბ) სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, აგრეთვე მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ სხვა დანაშაულზე, რომელმაც გამოიწვია პირის სიცოცხლის მოსპობა და რომლის ჩადენის დროს ეს პირი იმყოფებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში ან პენიტენციურ დაწესებულებაში, ანდა ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, აკრძალული ჰქონდა ადგილსამყოფელის დატოვება, ანდა აღნიშნული პირი სხვაგვარად იმყოფებოდა სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ.

როგორც აღინიშნა, სსსკ-ის მე-3 მუხლის 32^1-ე ნაწილის თანახმად, ზედამხედველი მოსამართლე აკონტროლებს სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით ჩატარებას კონტროლის ელექტრონული სისტემითა და კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემით. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ" საქართვლოს კანონის მე-2 მუხლის „ი" და „კ" ქვეპუნქტები განმარტავენ კონტროლის ელექტრონულ სისტემასა და კონტროლის სპეციალურ ელექტრონულ სისტემას.[26]

აღსანიშნავია, რომ სსსკ-ში 2018 წლის 21 ივლისს შეტანილი საკანონმდებლო ცვლილებების უმთავრეს მიზნად გამოცხადდა არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლთა დაცვა და ამ მიზნით მათი პროცესუალური უფლებებისა და გარანტიების გაფართოება. პროცესუალურ უფლებათა დაცვის მნიშვნელოვან გარანტიად კი გამოიკვეთა მოსამართლის როლის გაზრდა, რისი დადასტურებაცაა სსსკ-ში ზედამხედველი მოსამართლის ინსტიტუტის შემოტანა, რომელიც აკონტროლებს სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ჩატარებასა და შეუძლია შეაჩეროს აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედება კანონით გათვალისწინებული კონკრეტული გარემოებების არსებობისას.

---

[25] საქართველოს კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ", მე-19 მუხლის, პირველი პუნქტი, საკანონმდებლო მაცნე, 21/07/2018

[26] საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ", მე-2 მუხლის „ი" და „კ" ქვეპუნქტები, საკანონმდებლო მაცნე, 22/03/2017;

ზედამხედველი მოსამართლე გასცემს ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების ჩატარების შესახებ ბრძანებას და აკონტროლებს ღონისძიების აღსრულების პროცესს. ზედამხედველი მოსამართლე ადგენს ელექტრონული თვალთვალის განხორციელების ვადებს, მას აქვს უფლება შეაჩეროს ელექტრონული თვალთვალის ღონისძიება კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.[27]

ზედამხედველ მოსამართლეს უფლება აქვს, სპეციალურ სამსახურს მოსთხოვოს ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციისა და ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის წარდგენა.[28] ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების დასრულების შემდეგ, ზედამხედველ მოსამართლეს წარედგინება ანგარიში ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის შესახებ და უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი შესაბამისი ოქმის ეგზემპლარი სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერას ზედამხედველი მოსამართლე აკონტროლებს ა) კონტროლის ელექტრონული სისტემით, ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლის შემოწმებითა და ბ) კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემით, ინიცირებულ/განხორციელებულ ბრძანებათა ლოგირების მონაცემების სამართლებრივ საფუძვლებთან შედარებით.

ამავე მიზნით, ზედამხედველი მოსამართლე აგრეთვე უფლებამოსილია გაეცნოს კონტროლის ელექტრონული სისტემითა და კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემით მიწოდებულ იმ აქტივობებს, შესაბამის სამართლებრივ დოკუმენტებს და ლოგირების მონაცემებს, რომლებიც ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზნით ხორციელდება.[29]

აღსანიშნავია, რომ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია კონტრდაზვერვითი საქმიანობის მიზნებისთვის ელექტრონული თვალთვალის დაწყება ზედამხედველი მოსამართლის ბრძანების გარეშე, თუმცა ამ შემთხვევაში სპეციალური სამსახური ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სასამართლოს და ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების დაწყებიდან 24 საათში მიმართოს მას შესაბამისი შუამდგომლობით.[30] იმ შემთხვევაში, თუ ზედამხედველი მოსამართლე შუამდგომლობის საფუძველზე არ გასცემს ელექტრონული თვალთვალის განხორციელების ნებართვას, ელექტრონული თვალთვალის ღონისძიება დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს, ხოლო

---

[27] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 143^6-ე მუხლი, მე-5^1 ნაწილი, საკანონმდებლო მაცნე, 09/10/2009;
[28] იქვე, 143^6-ე მუხლი, მე-14 ნაწილი, საკანონმდებლო მაცნე, 09/10/2009;
[29] იქვე, 143^3-ე მუხლი, საკანონმდებლო მაცნე, 09/10/2009;
[30] იქვე, 143^3-ე მუხლი, მე-6 ნაწილი, საკანონმდებლო მაცნე, 09/10/2009;

ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების შედეგად მიღებული/მოპოვებული ინფორმაცია უნდა განადგურდეს.[31]

1.2 საპროკურორო ზედამხედველობა

საპროკურორო ზედამხედველობის არსი მდგომარეობს ქვეყანაში კანონის უზენაესობის დაფუძნებასა და საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებაში. პროკურატურის ორგანიზაციული სტრუქტურა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ძირითადად ორის სახითაა გავრცელებული. პირველი სახის პროკურატურს წარმოადგენს სრულიად დამოუკიდებელ უწყებას, რომელიც არ შედის არც ერთი სამინისტროს დაქვემდებარებაში, მეორე სახის პროკურატურა კი უშუალოდ იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშია და ახორციელებს სამინისტროს მიერ მისთვის განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

რაც შეეხება საქართველოში საპროკურორო ზედამხედველობას ოპერატიულ-სამძებრო და ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე, საპროკურორო კონტროლის ფორმები დადგენილია როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, ასევე „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა[32] და გენერალური პროკურორის შესაბამისი ბრძანებითაც,[33] რომლითაც განსაზღვრულია სამართალდამცავ ორგანოებში ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებზე საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელების წესები და ფორმები.

როგორც კონსტიტუციის, ისე „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია იმ სახის ოპერატიულ-სამძებრო და ფარული საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარება, რომლებიც ზღუდავენ ადამიანის უფლებებს ან შესაძლებელია შეზღუდონ. ასეთი ღონისძიებები ხორციელდება პროკურორის დადგენილებით, გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში, რომელიც ისევ სასამართლო და საპროკურორო ზედამხედველობის საგანს წარმოადგენს.[34]

სსსკ-ის 143[1] მუხლის პირველი ნაწილის „ა“–„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების შემთხვევაში პროკურორი

---

[31] იქვე, 143[6]-ე მუხლი, მე-4 ნაწილი, საკანონმდებლო მაცნე №1772, 09/10/2009;

[32] საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ, საკანონმდებლო მაცნე, 30/11/2018;

[33] საქართველოს გენერალური პროკურორის №9 ბრძანება საქართველოს გენერალური პროკურატურის თავდაცვის სამინისტროში, იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ, საკანონმდებლო მაცნე, 26/12/2019;

[34] საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, VI თავი, საკანონმდებლო მაცნე, №1933, 30/04/1999;

ვალდებულია ფარული საგამოძიებო მოქმედების დადგენილებაში მითითებული დაწყების დროიდან არაუგვიანეს 24 საათისა მიმართოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა/ტარდება აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედება, ან გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს შუამდგომლობით გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული/მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ.

შუამდგომლობაში პროკურორმა უნდა დაასაბუთოს როგორც ზემოაღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების,[35] ისე იმ გარემოებების არსებობა, რომლებმაც განაპირობა ფარული საგამოძიებო მოქმედების მოსამართლის განჩინების გარეშე, გადაუდებლად ჩატარება/დაწყება. მოსამართლე პროკურორის შუამდგომლობას განიხილავს მისი სასამართლოსთვის წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა, ზემოაღნიშნული მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი წესით.[36]

შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე ამოწმებს, შეესაბამება თუ არა ჩატარებული/მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედება სსსკ-ის მოთხოვნებს, აუცილებელი იყო თუ არა აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარება/დაწყება და განჩინებით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ; ბ) მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის და მისი ჩატარების ვადის არაუმეტეს 48 საათამდე გაგრძელების შესახებ.[37] ეს ვადა აითვლება პროკურორის დადგენილებაში მითითებული ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყების დროიდან;გ) ჩატარებული/მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობის, მისი შეწყვეტის, შედეგების გაუქმების და მის შედეგად მოპოვებული მასალის/ინფორმაციის განადგურების შესახებ.

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილებას, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, ფარული საგამოძიებო მოქმედების დადგენილებაში მითითებული დაწყების დროიდან არაუგვიანეს 12 საათისა პროკურორი ან პროკურორის დავალებით გამომძიებელი მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარუდგენს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. სსს კოდექსის 143^1 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, სააგენტოს მიერ მისი მიღებისთანავე მიეწოდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ელექტრონული ეგზემპლარის სახით, კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

---

[35] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 143^1-ე მუხლი, მე-2 ნაწილი, საკანონმდებლო მაცნე №1772, 09/10/2009;

[36] იქვე, 143^3-ე მუხლი, მე-5 ნაწილი, საკანონმდებლო მაცნე №1772, 09/10/2009;

[37] იქვე, 143^3-ე მუხლი, მე-5 ნაწილი, საკანონმდებლო მაცნე №1772, 09/10/2009;

პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის პროგრამულად მიწოდების დადასტურებისთანავე სააგენტო იწყებს სსს კოდექსის 143[1] მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებას. ამ ნაწილით გათვალისწინებული ელექტრონული ეგზემპლარის მიწოდების წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც გამოიყენება სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა. თუ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოსთვის წარდგენილი გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილება ბუნდოვანება-უზუსტობას შეიცავს, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს პროკურორს ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს.[38]

პროკურორი უზრუნველყოფს დადგენილებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრას. ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად/უკანონოდ ცნობის შესახებ მოსამართლის განჩინება დგება 4 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სასამართლოში, ორი გადაეცემა შუამდგომლობის წარმდგენ პროკურორს ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს, რომელთაგან ერთი მიეწოდება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს, და ერთი განჩინება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, სასამართლოს მიერ მიეწოდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა გარკვეულწილად ზღუდავს პროკურატურის უკანონო ქმედებებს იმ თვალსაზრისით, რომ არსებობს ყველა მტკიცებულების წარმომავლობის და მოპოვების კანონიერების გადამოწმების ვალდებულება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ამ მტკიცებულების ან მასზე დაყრდნობით მოპოვებული სხვა მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობა სისხლის სამართლის პროცესში. შესაბამისად, რეალურ დროში ინფორმაციის მოპოვება პერსონალურ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ კონტროლის გარეშე კანონით დადგენილი წესის გარეშე მოპოვებულ მტკიცებულებად ჩაითვლება, რაც განაპირობებს მის დაუშვებლობას სისხლის სამართლის პროცესში. ამასთან, საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია იმ ინფორმაციის განადგურების წესი და პროცედურა, რომელიც სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებად არ გამოიყენება.[39]

[38] იქვე, 143[3]-ე მუხლი, მე-6 ნაწილი, საკანონმდებლო მაცნე, 09/10/2009;
[39] იქვე, 143[8]-ე მუხლი, საკანონმდებლო მაცნე, 09/10/2009;

1.3 სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ზედამხედველობა

,,ასოცირების შესახებ შეთანხმების“[40] ფარგლებში იმპლმენტაციის კუთხით საქართველომ იკისრა ვალდებულება დაცვის ისეთი სამართლებრივი დონის შემუშავებისა, რომელიც სულ მცირე შეესაბამება დირექტივასა და ასოცირების შესახებ შეთანხმების პირველი დანართით გათვალისწინებულ სხვა საერთაშორისო დოკუმენტებს. აქედან გამომდინარე 2011 წლის 28 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“,[41] რომლის მიზანია პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა.

სწორედ ზემოაღნიშნული საერთაშორისო კონვენციები და ევროკავშირის დირექტივები გახდა საფუძველი იმისა, რომ რომ დღესდღეობით არსებული საკანონმდებლო მოწესრიგებით, საქართველოში სამართალდამცავი ორგანოების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებზე წვდომა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ზედამხედველობის კომპეტენციას განეკუთვნება, რომელიც ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლს.[42]

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები არის მომხმარებლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები; კომუნიკაციის წყაროს კვალის დადგენისა და იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემები; კომუნიკაციის ადრესატის იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემები; კომუნიკაციის თარიღის, დროისა და ხანგრძლივობის იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემები; კომუნიკაციის სახის იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემები; მომხმარებლის კომუნიკაციის აღჭურვილობის ან შესაძლო აღჭურვილობის იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემები; მობილური

[40] საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება “ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის”, საკანონმდებლო მაცნე, 27/06/2014;

[41] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, საკანონმდებლო მაცნე, 28/12/2011;

[42] საქართველოს კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“, მე-18 მუხლი, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი, საკანონმდებლო მაცნე, 21/07/2018;

კომუნიკაციის აღჭურვილობის ადგილმდებარეობის იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემები;[43]

სახელმწიფო ინსპექტორის მონაწილეობა ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებზე წვდომის პროცესში ფარული საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის დროს წარმოადგენს აღნიშნული ქმედებების კონტროლის ერთ-ერთ მექანიზმს.[44]

2015 წლის 31 მარტს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ამოქმედდა ნორმები,[45] რომლებიც ითვალისწინებდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის დამკვიდრებას. სსსკ.-ის 2017 წლის 22 მარტამდე მოქმედი 143[4] მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერას უფლებამოსილი ორგანო ახორციელებდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. სსსკ-ის მე-3 მუხლის 32-ე ნაწილი კი განმარტავდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის ცნებას, ეს იყო ტექნიკურ და პროგრამულ გადაწყვეტილებათა ერთობლიობა, რომელიც გამორიცხავდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ელექტრონული თანხმობის გარეშე სამართალდამცავი ორგანოს მონიტორინგის სისტემის მეშვეობით ობიექტის აქტივაციის შესახებ ბრძანების დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობას.

აღნიშნული ძირითადად გულისხმობდა იმას, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების განსახორციელებლად სამართალადამცავ ორგანოს, სასამართლოს მხრიდან ნებართვის გარდა სჭირდებოდა ელექტრონული ნებართვა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისგანაც. სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერას კი ახორციელებდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი.[46]

2016 წელს, სხვა ნორმებთან ერთად საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ იქნა სარჩელი[47] სსსკ-ის 143[3] მუხლის მე-4 ნაწილის ნორმატიული შინაარსი, რომლის მიხედვითაც

---

[43] საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, მე-2 მუხლის ჰ[62] ქვეპუნქტი, საკანონმდებლო მაცნე, 02/06/2005;

[44] საქართველოს კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“, მე-2 მუხლი და მე-18 მუხლები, საკანონმდებლო მაცნე, 21/07/2018;

[45] საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, საკანონმდებლო მაცნე 2870-Iს, 30/11/2014;

[46] ხოდელი მ., სადისერტაციო ნაშრომი „სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით)“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი, 2019 წელი, გვ.245;

[47] საკონსტიტუციო სარჩელი №640 (საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო”, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო”, ააიპ

უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ ამ კოდექსის 143^1 მუხლის პირველი ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უზრუნველსაყოფად კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი იყენებდა კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციის ფიზიკური ხაზებიდან და მათი შემაერთებლებიდან, მეილსერვერებიდან, ბაზებიდან, კავშირგაბმულობის ქსელებიდან და კავშირგაბმულობის სხვა შემაერთებლებიდან ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობას, აგრეთვე კომუნიკაციის აღნიშნულ საშუალებებთან განათავსებდა და ამონტაჟებდა სათანადო აპარატურას და პროგრამული უზრუნველყოფის მოწყობილობებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა აღნიშნული საკონსტიტუციო სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს კონსტიტუციის მე-16 და მე-20 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით (2016 წელს მოქმედი რედაქცია) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 31-ე ნაწილი და ამავე კოდექსის 143^3 მუხლის მე-4 ნაწილი.[48] შესაბამისად, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ტექნიკური წვდომა სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ქსელებთან, რაც განაპირობებდა კომუნიკაციის მონაცემთა შეგროვებისა და მონიტორინგის შეუზღუდავ შესაძლებლობას.

2017 წლის 31 მარტამდე დაევალა საქართველოს პარლამენტს სატელეკომუნიკაციო ოპერატორების სერვერებზე პირდაპირი წვდომის შეზღუდვისა და კონტროლის გამკაცრების მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.[49]

2017 წლის 22 მარტის საკანონმდებლო ცვლილებებით გაუქმდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს,* წინასწარი თანხმობის ნაცვლად, მიენიჭა ფარული

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და ემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ).

[48] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, N 1/1/625, 640, საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო", ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო", ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ქ.ბათუმი, 14 აპრილი, 2016;

[49] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/141417 [წვდომის თარიღი: 07.03.2020]

* 2019 წლის 1 ივლისიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ნაცვლად მიეთითება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, შესაბამისის საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა

საგამოძიებო მოქმედების განხორციელების კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით შეჩერების უფლება. შეიქმნა ახალი ორგანო საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო (სააგენტო),[50] რომელიც სსსკ-ის მე-3 მუხლის 32-ე ნაწილის „ა"ქვეპუნქტის შესაბამისად, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ჩატარების ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე ორგანოა.[51] აღნიშნული სააგენტო არა მხოლოდ ფლობს ტექნიკურ საშუალებებს ფარული მოსმენების განსახორციელებლად, არამედ პასუხისმგებელია ამ სისტემის ფუნქციონირებაზე, რა მიზნითაც ის ქმნის შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას და განათავსებს ტექნიკურ საშუალებებს.

საქართველოს პარლამენტის მიერ სისხლის სამართლი საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად 143^3 მუხლის მე-5^1 ნაწილის თანახმად, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების შესახებ მოსამართლის განჩინების ელექტრონული ეგზემპლარის სახელმწიფო ინსპექტორისთვის პროგრამულად მიწოდების დადასტურებისთანავე სააგენტო იწყებს სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერას. აღსანიშნავია, რომ ელექტრონული ეგზემპლარის მიწოდების აღნიშნული წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც გამოიყენება სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა.[52]

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს ვალდებულებას, რომ სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის უზრუნველსაყოფად, სადაც საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება, გამოიყენოს კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების სტაციონარული ან ნახევრად სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა.[53]

საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, როგორც ფარული საგამოძიებო მოქმედებებზე ზედამხედველ ორგანოს, მიენიჭა საგამოძიებო მოქმედებების შეწყვეტისა და შეჩერების უფლებამოსილება.[54] კანონმდებლობით განისაზღვრა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უფლებამოსილებები ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების კონტროლის სფეროში და სახელმწიფო ინსპექტორს მიენიჭა უფლებამოსილება განახორციელოს ფარული

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, საკანონმდებლო მაცნე №3276-რს, 21/07/2018;

[50] საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ", საკანონმდებლო მაცნე, 22/03/2017;

[51] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მე-3 მუხლის 32-ე ნაწილის „ა"ქვეპუნქტი, საკანონმდებლო მაცნე, 09/10/2009;

[52] იქვე, 143^3-ე მუხლი, მე-51 ნაწილი, საკანონმდებლო მაცნე, 09/10/2009;

[53] იქვე, 143^3-ე მუხლი, მე-4 ნაწილი, საკანონმდებლო მაცნე, 09/10/2009;

[54] საქართველოს კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ", მე-16 მუხლი, საკანონმდებლო მაცნე, 21/07/2018;

საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი, ესენია: ა) კონტროლის ელექტრონული სისტემით – მონაცემთა დამუშავების კანონიერება; ბ) კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემით – მონაცემთა დამუშავების კანონიერება; გ) მონაცემთა დამმუშავებლის/უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერება (ინსპექტირება).[55]

2. ევროკავშირი

დამოუკიდებელი ზედამხედველობა მონაცემთა დაცვის ევროპული კანონმდებლობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. როგორც ევროკავშირის, ისე ევროპის საბჭოს კანონმდებლობის მიხედვით, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კონტექსტში ფიზიკურ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს არსებობა აუცილებელია. ვინაიდან პეროსნალურ მონაცემთა დაცვა სულ უფრო და უფრო რთულდება ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, შესაბამისად იზრდება საზედამხედველო ორგანოების როლი.

ევროკავშირში დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოების არსებობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტად მიიჩნევა. მას ძირითადად, ევროკავშირის კანონმდებლობა ითვალისწინებს. ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტისა[56] და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად,[57] პერსონალური მონაცემების დაცვა ფუნდამენტური უფლებაა, ხოლო მონაცემთა დაცვის დამუშავების წესებსა და კანონიერებას უნდა აკონტროლებდეს დამოუკიდებელი ორგანო. მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის შესრულების კუთხით, დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს მნიშვნელობა აღიარებულია პრეცედენტულ სამართალშიც.

ევროპული კანონმდებლობა აწესებს დამოუკიდებელი ზედამხედველობის მოთხოვნას, როგორც მნიშვნელოვან მექანიზმს მონაცემთა ეფექტიანად დაცვისათვის. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვისას, დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანო მონაცემთა სუბიექტისთვის პირველი საკონტაქტო პირია. როგორც ევროკავშირის, ისე ევროპის საბჭოს კანონმდებლობის თანახმად, საზედამხედველო ორგანოს შექმნა სავალდებულოა. ორივე სამართლებრივი ჩარჩო ითვალისწინებს ამ ორგანოს

---

[55] იქვე, მე-18 მუხლი, საკანონმდებლო მაცნე, 21/07/2018;

[56] Charter of fundamental rights of the European Union, Article 8, Official Journal C 364 , 18/12/2000 P. 0001 – 0022, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32000X1218%2801%29> [წვდომის თარიღი: 04.03.2020];

[57] Treaty on the Functioning of the European Union, Article 16, Official Journal C 326 , 26/10/2012 P. 0001 – 0390, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A12012E%2FTXT> [წვდომის თარიღი: 04.03.2020];

უფლებამოვალეობათა ჩამონათვალს, რომელიც ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციაში (GDPR)[58] წარმოდგენილი სიის მსგავსია. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ საზედამხედველო ორგანოები ფუნქციონირებენ ერთნაირად, როგორც ევროკავშირის, ისე ევროპის საბჭოს კანონმდებლობის მიხედვით.

ევროკავშირის კანონმდებლობაში GDPR-ი ითვალისწინებს საზედამხედველო ორგანოთა კომპეტენციებსა და ორგანიზაციულ სტრუქტურას და ადგენს მოთხოვნას, რომ ისინი იყვნენ კომპეტენტურები და ჰქონდეთ რეგულაციით გათვალისწინებული ფუნქციების შესასრულებლად საჭირო უფლებამოსილება. საზედამხედველო ორგანო ეროვნულ კანონმდებლობაში ძირითადი უწყებაა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისობას ევროკავშირის მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან. მას აქვს არაერთი მოვალეობა და უფლებამოსილება, რომლებიც სცდება პროაქტიული და პრევენციული ზედამხედველობის ფარგლებს. ამ მოვალეობათა შესასრულებლად, საზედამხედველო ორგანოს უნდა ჰქონდეს სათანადო უფლებამოსილებები გამოძიების, დარღვევის გამოსწორებისა თუ კონსულტაციის გაცემის მხრივ, რომლებიც წარმოდგენილია GDPR-ის 57-ე და 58-ე მუხლებში,[59] კერძოდ: კონსულტაცია გაუწიოს მონაცემთა სუბიექტებსა და დამმუშავებლებს მონაცემთა დაცვის ყველა საკითხზე; დაამტკიცოს სტანდარტული სახელშეკრულებო პირობები, სავალდებულო ძალის მქონე კორპორატიული წესები, ან ადმინისტრაციული შეთანხმებები; გამოიძიოს დამუშავების ოპერაციები და საჭიროების შემთხვევაში, ჩაერიოს კიდეც; მოითხოვოს ინფორმაცია, რომელიც საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის საქმიანობაზე ზედამხედველობისთვის; მონაცემთა დამმუშავებელს გამოუცხადოს გაფრთხილება ან საყვედური და გასცეს ბრძანება, რომ პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა ეცნობოთ მონაცემთა სუბიექტებს; გასცეს მონაცემთა შესწორების, დაბლოკვის, წაშლის ან განადგურების ბრძანება; დააწესოს დროებითი ან საბოლოო აკრძალვა მონაცემთა დამუშავებაზე, ან შესაბამის პირს დააკისროს ადმინისტრაციული ჯარიმა; საქმე განსახილველად გადასცეს სასამართლოს.[60]

ზემოაღნიშნული ფუნქციების განსახორციელებლად, საზედამხედველო ორგანოს ხელი მიუწვდებოდესა ყველა პერსონალურ მონაცემსა და ინფორმაციაზე, რომელიც საჭიროა მოკვლევის ჩასატარებლად, აგრეთვე, ნებისმიერ შენობაზე, სადაც მონაცემთა

---

58 Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data and on the free movement of such data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation) (Text with EEA relevance), Official Journal of the European Union L 119/1, < https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2016/679/oj>, [წვდომის თარიღი: 04.03.2020];

59 Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data and on the free movement of such data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation), Article 57 and Article 58, Official Journal of the European Union L 119/1, https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2016/679/oj [წვდომის თარიღი: 07.03.2020]

60 ჯიაკუმოპულოს კ., ბუტარელი ჯ., ო'ფლერთი მ., მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, გვ. 227;

დამმუშავებელი რელევანტურ ინფორმაციას ინახავს. მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს (CJEU-Court of Justice of the European Union) თანახმად, საზედამხედველო ორგანოს უფლებამოსილებები უნდა განიმარტოს ფართოდ, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვის სრულ ეფექტიანობას ევროკავშირში.

Schrems-ის საქმეში მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ, ევროკავშირსა და აშშ-ს შორის დაცვის საშუალებათა შეთანხმების (Safe Harbour Agreement) საფუძველზე, განიხილა აშშ-სთვის პერსონალური მონაცემების გადაცემის შესაბამისობა ევროკავშირის მონაცემთა დაცვის სამართალთან. საქმე ეხებოდა მასობრივ თვალთვალს აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს მხრიდან, რაც ედვარდ სნოუდენის სკანდალმა გამოააშკარავა. მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ეროვნულ საზედამხედველო ორგანოებს, როგორც მონაცემთა დამუშავების დამოუკიდებელ მონიტორებს, აქვთ პერსონალურ მონაცემთა მესამე ქვეყნისთვის გადაცემის პრევენციის უფლება (მიუხედავად გადაწყვეტილებისა შესაბამისობის შესახებ), თუკი არსებობს გონივრული მტკიცებულება, რომ მესამე ქვეყანაში სათანადო დაცვა აღარ არის გარანტირებული.[61]

თითოეულ საზედამხედველო ორგანოს აქვს სათანადო კომპეტენცია საგამოძიებო უფლებამოსილების განხორციელებისა და ჩარევისათვის საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში. თუმცა, ვინაიდან მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის აქტივობები ხშირად კვეთს საზღვარს, თვითონ დამუშავება კი გავლენას ახდენს რამდენიმე წევრ სახელმწიფოში მყოფ მონაცემთა სუბიექტებზე, აქტუალური ხდება კომპეტენციათა გადანაწილება სხვადასხვა საზედამხედველო ორგანოს შორის.

GDPR-ის მიღებით, დეტალური წესები დაინერგა საერთაშორისო საქმეებში საზედამხედველო ორგანოების უფლებამოსილებასთან დაკავშირებით. რეგულაცია ადგენს „ერთი ფანჯრის პრინციპს“ და მოიცავს დებულებებს, რომლებიც სავალდებულოს ხდის სხვადასხვა საზედამხედველო ორგანოს შორის თანამშრომლობას. საერთაშორისო საქმეებზე ეფექტიანი თანამშრომლობისთვის, GDPR ადგენს წამყვანი საზედამხედველო ორგანოს შექმნის ვალდებულებას, მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის ძირითადი დამოუკიდებელი ზედამხედველობა ან ერთადერთი ადგილსამყოფელის მიხედვით.[62]

წამყვანი საზედამხედველო ორგანო, რომელიც საერთაშორისო საქმეებზე მუშაობს, მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის ერთადერთი მარეგულირებელია საერთაშორისო დამუშავების პროცესში და კოორდინაციას უწევს სხვა საზედამხედველო

---

61 Judgment of the Court (Grand Chamber) of Maximillian Schrems v Data Protection Commissioner, Case C-362/14, 6 October 2015, https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A62014CJ0362, [წვდომის თარიღი: 07.03.2020];

62 Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data and on the free movement of such data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation), Article 56 (1), Official Journal of the European Union L 119/1, https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2016/679/oj [წვდომის თარიღი: 07.03.2020]

ორგანოებთან თანამშრომლობას, კონსენსუსის მისაღწევად. თანამშრომლობა მოიცავს ინფორმაციის გაცვლას, ურთიერთდახმარებას მონიტორინგისა და გამოძიების პროცესში, ასევე, შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებათა მიღებას.[63]

ევროპის საბჭოს კანონმდებლობაში საზედამხედველო ორგანოთა კომპეტენციები და უფლებამოსილებები წარმოდგენილია მოდერნიზებული 108-ე კონვენციის მე-15 მუხლში და შეესაბამება მათთვის ევროკავშირის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებებს, როგორიცაა: გამოძიება და ჩარევა; ადმინისტრაციული სანქციის დაწესება გადაწყვეტილებათა გამოცემისა და კონვენციის დებულებათა დარღვევის შემთხვევაში; სასამართლო საქმისწარმოების დაწყება. ზოგადად, დამოუკიდებელ საზედამხედველო ორგანოებს აქვთ შემდეგი უფლებამოსილებებიც: რეაგირება მონაცემთა სუბიექტების მოთხოვნებსა და საჩივრებზე; საზოგადოების ცნობიერების ამაღლება მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის შესახებ; კონსულტაციის გაწევა მათთვის, ვინც ეროვნულ დონეზე იღებს გადაწყვეტილებას იმ საკანონმდებლო ან ადმინისტრაციულ ზომებზე, რომლებიც ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას.

ევროპის მონაცემთა დაცვის საბჭო (EDPB) ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს მონაცემთა დაცვის წესების ეფექტიანად და თანმიმდევრულად დანერგვაში ევროკავშირის მასშტაბით GDPR-ის თანახმად, ევროპის მონაცემთა დაცვის საბჭო (EDPB) შექმნილია როგორც ევროკავშირის ორგანო და სამართლის სუბიექტი.[64] საბჭო 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფის სამართალმემკვიდრეა. ეს უკანასკნელი კი მონაცემთა დაცვის დირექტივის საფუძველზე შეიქმნა შემდეგი მიზნებით: კომისიისათვის კონსულტაციის გაწევა ევროკავშირის ნებისმიერ ღონისძიებაზე, რომელიც გავლენას ახდენს ფიზიკურ პირთა უფლებებზე პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კუთხით; დირექტივის ერთგვაროვანი დანერგვის ხელშეწყობა; და კომისიისთვის ექსპერტული მოსაზრების მიწოდება მონაცემთა დაცვის საკითხებზე. 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფი შედგებოდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საზედამხედველო ორგანოების, ასევე, კომისიისა და ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის (EDPS) წარმომადგენლებისგან.

სამუშაო ჯგუფის მსგავსად, საბჭოს შემადგენლობაში არიან: თითოეული წევრი სახელმწიფოს საზედამხედველო ორგანოს ხელმძღვანელი, ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველი, ან მათი წარმომადგენლები.[65] ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველი (EDPS) სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით, გარდა დავების გადაწყვეტის

---

[63] იქვე, Article 60, Official Journal of the European Union L 119/1, https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2016/679/oj [წვდომის თარიღი: 07.03.2020];

[64] იქვე, Article 68, Official Journal of the European Union L 119/1, https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2016/679/oj [წვდომის თარიღი: 07.03.2020];

[65] იქვე, Article 68(3), Official Journal of the European Union L 119/1, https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2016/679/oj [წვდომის თარიღი: 07.03.2020];

შემთხვევებისა. ასეთ საქმეებში ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველს (EDPS) ხმის მიცემა შეუძლია მხოლოდ იმ პრინციპებსა და წესებზე გადაწყვეტილებათა მიღებისას, რომლებიც შეეხება ევროკავშირის ინსტიტუტებს და შეესაბამება GDPR-ით გათვალისწინებულ პრინციპებსა და წესებს. კომისიას უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს საბჭოს შეხვედრებსა და საქმიანობაში, ხმის მიცემის უფლების გარეშე.

საბჭო წევრებიდან ირჩევს თავმჯდომარეს (რომელიც წარმოადგენს საბჭოს) და თავმჯდომარის ორ მოადგილეს, უბრალო უმრავლესობით და 5-წლიანი ვადით. ამასთან, ევროპის მონაცემთა დაცვის საბჭოს (EDPB) აქვს სამდივნოც, რომელსაც უზრუნველყოფს ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველი (EDPS). იგი ანალიტიკურ, ადმინისტრაციულ და ლოგისტიკურ მხარდაჭერას უწევს საბჭოს.[66] ევროპის მონაცემთა დაცვის საბჭოს (EDPB) ფუნქციები დეტალურად არის აღწერილი GDPR-ის 64-ე, 65-ე და 70-ე მუხლებში და მოიცავს კომპლექსურ ფუნქციებს, რომელთა დაყოფაც შეიძლება 3 ძირითად კატეგორიად: თანმიმდევრულობა, კონსულტაცია და ხელმძღვანელობა.

აქედან გამომდინარე უნდა ითქვა, რომ ევროკავშირის მონაცემთა დაცვის სტანდარტები ეფუძნება ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციას, მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციასა და მონაცემთა დაცვის დირექტივას პოლიციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ორგანოებისათვის. ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

დასკვნა

აქედან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ პერსონალურ მონაცემეთა დამუშავებაზე ზედამხედველობა დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დამუშავებაზე ზედამხედველობა საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და ტექნოლოგიური საშუალებების განვითარებასთან ერთად უფრო აქტუალური ხდება, მითუმეტეს როდესაც უფრო აქტულური ხდება როდესაც საქმე ეხება სამართალდამცავი ორგანოებისა და უსაფრთხოების სამსახურების მიერ ოპერატიულ-სამძებრო და ფარული საგამოძიებო მიზნებისათვის ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დამუშავებას.

სამართალდამცავი ორგანოები აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სისტემას წარმოადგენს, რომლის ძირითად ფუნქციებს დანაშაულის პრევენცია/აღკვეთა, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვა

[66] იქვე, Article 71, Article 75, Official Journal of the European Union L 119/1, https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2016/679/oj [წვდომის თარიღი: 07.03.2020];

განეკუთვნება. აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად სამართალდამცავ უწყებებს კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ ფარული საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება, აქედან გამომდინარე, არსებობს მათი არასათანადოდ გამოყენების რისკი, ამიტომ მათი საქმიანობის ეფექტიანი ზედამხედველობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის უფლებების დაცვას, მასში დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო ჩარევებისაგან.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, საკონონმდებლო მაცნე, 24/08/1995;

2. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება "ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის", საკანონმდებლო მაცნე, 27/06/2014;

3. საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ", საკანონმდებლო მაცნე, 30/11/2018;

4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საკანონმდებლო მაცნე, 09/10/2009;

5. საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ", საკანონმდებლო მაცნე, 02/06/2005;

6. საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ", საკანონმდებლო მაცნე, 22/03/2017;

7. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ", საკანონმდებლო მაცნე, 21/07/2018;

8. საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ", საკანონმდებლო მაცნე, №1933, 30/04/1999;

9. საქართველოს კანონი „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“, საკანონმდებლო მაცნე, №2097, 11/11/2005;

10. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირების თაობაზე, საკანონმდებლო მაცნე, 28/10/2005;
11. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის დამატებითი ოქმის (ზედამხედველობით ორგანოებთან და მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადადინებასთან დაკავშირებით) რატიფიცირების თაობაზე, საკანონმდებლო მაცნე, 27/07/2013;
12. საქართველოს გენერალური პროკურორის №9 ბრძანება საქართველოს გენერალური პროკურატურის თავდაცვის სამინისტროში, იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ, საკანონმდებლო მაცნე, 26/12/2019;

უცხოენოვანი:

1. Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data Strasbourg, 28.01.1981,<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680078b37> [წვდომის თარიღი: 02.11.2020];
2. Additional Protocol to the Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data, regarding supervisory authorities and transborder data flows, Strasbourg, 08/11/2001, <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/181>[წვდომის თარიღი: 02.11.2020];
3. Directive (EU) 2016/680 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data by competent authorities for the purposes of the prevention, investigation, detection or prosecution of criminal offences or the execution of criminal penalties, and on the free movement of such data, and repealing Council Framework Decision 2008/977/JHA, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX:32016L0680>[წვდომის თარიღი: 06.11.2020];
4. The Council of Europe, Recommendation No. R (87) 15 of the Committee of Ministers to member states regulating the use of personal data in the police sector, <https://rm.coe.int/168062dfd4#_ftn1> [წვდომის თარიღი: 02.11.2020];
5. Directive 95/46/EC of the European Parliament and of the Council of 24 October 1995 on the protection of individuals with regard to the processing of personal data and on the free movement

of such data, Official Journal L 281 , 23/11/1995 P. 0031 – 0050, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX%3A31995L0046> [წვდომის თარიღი: 02.11.2020];

6. Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data and on the free movement of such data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation) (Text with EEA relevance), <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:02016R0679-20160504> [წვდომის თარიღი: 02.11.2020];
7. Directive 97/66/EC of the European Parliament and of the Council of 15 December 1997 concerning the processing of personal data and the protection of privacy in the telecommunications sector, 15 December 1997, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A31997L0066> [წვდომის თარიღი: 02.11.2020];
8. Directive 2002/58/EC of the European Parliament and of the Council of 12 July 2002 concerning the processing of personal data and the protection of privacy in the electronic communications sector (Directive on privacy and electronic communications), 12 July 2002, [წვდომის თარიღი: 02.11.2019];
9. Directive 2009/136/EC of the European Parliament and of the Council of 25 November 2009 amending Directive 2002/22/EC on universal service and users' rights relating to electronic communications networks and services, Directive 2002/58/EC concerning the processing of personal data and the protection of privacy in the electronic communications sector and Regulation (EC) No 2006/2004 on cooperation between national authorities responsible for the enforcement of consumer protection laws (Text with EEA relevance), <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/ELI/?eliuri=eli:dir:2009:136:oj> [წვდომის თარიღი: 02.11.2020];
10. Treaty on the Functioning of the European Union, Article 16, Official Journal C 326 , 26/10/2012 P. 0001 – 0390, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A12012E%2FTXT> [წვდომის თარიღი: 04.03.2020];
11. Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data and on the free movement of such data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation) (Text with EEA relevance), Official Journal of the European Union L 119/1, < https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2016/679/oj>, [წვდომის თარიღი: 04.03.2020];
12. Charter of fundamental rights of the European Union, Article 8, Official Journal C 364 , 18/12/2000 P. 0001 – 0022, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32000X1218%2801%29> [წვდომის თარიღი: 04.03.2020];

სამეცნიერო ლიტერატურა

1. ხოდელი მ., სადისერტაციო ნაშრომი „სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით)“,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი, 2019 წელი, გვ.245;

2. ჯიაკუმოპულოს კ., ბუტარელი ჯ., ო'ფლერთი მ., მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, გვ.227;

სასამართლო გადაწყვეტილებები

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, N 1/1/625, 640, საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ქ.ბათუმი, 14 აპრილი, 2016;
2. საკონსტიტუციო სასამართლოს №2/1/484 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ქ. ბათუმი, 2012 წლის 29 თებერვალი;
3. საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე-ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ქ. ბათუმი, 2007 წლის 26 დეკემბერი;
4. Judgment of the Court (Grand Chamber) of Maximillian Schrems v Data Protection Commissioner, Case C-362/14, 6 October 2015, https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A62014CJ0362, [წვდომის თარიღი: 07.03.2020];

Scientific and Practical Cyber Security Journal (SPCSJ) 4(4): 62-65 ISSN 2587-4667
Scientific Cyber Security Association (SCSA)

ATTACKS ON WIRELESS NETWORKS AND THEIR PREVENTIONS

უსადენო ქსელზე ორიენტირებული თავდასხმები და მათი პრევენცია

გიორგი იაშვილი -კავკასიის უნივერსიტეტი

Giorgi Iashvili – Caucasus University

გიორგი მელაძე - კომაროვი

Giorgi Meladze - Komarovi

გეგი ჩაჩიბაია -კომაროვი

Gegi Chachibaia-Komarovi

ლაშა ჯანჯალაშვილი - 1 კლასიკური გიმნაზია

Lasha Janjalashvili – 1 Classic Gymnasium

გეგა შავდათუაშვილი - აია -Gess

Gega Shavdatuashvili Gess

ABSTRACT. This article distinguishes between wireless (wifi) and wired networks, in particular, discusses the pros and cons of wireless and wired networks, and provides recommendations for their relatively more secure use.

აბსტრაქტი. მოცემული სტატია განასხვავებს უსადენო (wireless-wifi) და სადენიან (wired) ქსელებს, კერძოდ განიხილავს უსადენო და სადენიანი ქსელების უსაფრთხოების მინუსებს და პლიუსებს, ასევე მოცემულია რეკომენდაციები მათ შედარებით მეტად უსაფრთხოდ გამოყენებისთვის

საკვანძო სიტყვები: *Wireless-Wifi(უსადენო), Wired(სადენიანი).*

KEYWORDS: *Wireless-Wifi, Wired.*

შესავალი

